

04/02-218
1 ივნისი, 2016

**შპს „Optical Systems Inc“-ზე გაცემულ ლიცენზიასთან
დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განმეორებით**

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს
ქალბატონ ეკატერინე ბენდელიანს**

ქალბატონო ეკატერინე,

მადლობას მოგახსენებთ თქვენი 2016 წლის 27 მაისის #4245 წერილისათვის, თუმცა აქვე მოგახსენებთ, რომ წერილი მხოლოდ დღეს, 5 დღის შემდეგ გადმოგვეცა. ასევე, მადლობას მოგახსენებთ კომპაქტური დისკით მონოდებული დანართების დეტალური ჩამონათვალისთვის, თუმცა, კვლავაც გაუგებარია რა დოკუმენტაცია მოგვეწოდა მატერიალური სახით და/ან რატომ არ მოგვეწოდა მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი. ასე, მაგალითად, გაუგებარია:

- რატომ მოგვეწოდა ლიცენზიის ასლი სამჯერ (2 ქალაქური ვერსია და 1 ელექტრონული), საბჭოს სხდომის ოქმი ორჯერ (ქალაქური და ელექტრონული);**
- მიუხედავად იმისა, რომ რომ თქვენი წერილის თანახმად, გადმოგვეცემოდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 21-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, ლიცენზიის პირობების დაცვის ამსახველი ყოველწლიური ანგარიშების ასლები, რეალურად, გადმოგვეცა მხოლოდ 2015 წლის ანგარიშის 3 გვერდი, აქედან ერთი ყდა. დანარჩენი ორი კი შესავალი და რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათებაა, ლიცენზიის პირობების და/ან კანონის მოთხოვნების დაცვის შესახებ ერთი წინადადებაც არ არის.**
- ასევე, დანართების ქალაქურ ვერსიაში წარმოდგენილია გაუგებარი სტატუსის მქონე დოკუმენტი სათაურით - „ოპტიკალ სისტემს ინკ.“-ის მიერ მდ. ენგურის აუზში გამოყოფილ სალიცენზიო მონაკვეთის ფარგლებში ჩატარებული გეოლოგიური კვლევის შედეგები (2006-2015წ.წ.). გთხოვთ, მიუთითოთ რომელი სალიცენზიო პირობის და/ან კანონის მოთხოვნის შესრულების მიზნით არის წარდგენილი ეს დოკუმენტი;**

- გაუგებარი მიზეზით დაფარულია სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიუროს უფროსის 2009 წლის 9 სექტემბრის მოხსენებითი ბარათის მე-2 გვერდზე ვრცელი აბზაცი.

ამასთანავე, მატერიალური ვერსიით მონოდებული დოკუმენტების უმეტესობა არაკითხვადია. დოკუმენტების ნაწილი ძალიან მკრთალი ასლია, ხოლო ნაწილი, როგორც ჩანს, ჯერ უხარისხოდ დასკანირებულია და შემდეგ ამობეჭდილია, რაც ორმაგად ამცირებს ასლის ხარისხს.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, გთხოვთ, თქვენი 2016 წლის 27 მაისის #4245 წერილის დანართად ქაღალზე მონოდებული ინფორმაცია მოგვანოდოთ ხელახლა (ალბათ, განრჩევადობისთვის უმჯობესია, ელექტრონული ფორმით). ამასთან, გთხოვთ, მიგვითითოთ რა სახის დოკუმენტაციას გვანვდით; ხოლო, თუ რაიმეს არ გვანვდით, მიგვითითოთ საფუძველი.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის.
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი